ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი 15

2.10.2015

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის არჩევა;

2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის ცვლილებების დამტკიცება;

3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის კომისიის წევრთა დამტკიცება;

4. დეკანის არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა;

5. დეკანის არჩევნების შედეგის დამტკიცება;

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თ. გაგოშიძემ მოიწვია ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები:

მზია წერეთელი, ნანა სუმბაძე

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ლუიზა არუთინოვა, თამარ აბაშიძე, იამზე კუტალაძე, მაია მესტვირიშვილი

ასისტენტ პროფესორები: ირინა ჟვანია, ლია ჩხიკვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, თეონა ლოდია, ირინე გედევანიშვილი, მედეა დესპოტაშვილი, შორენა მამუკაძე, მარინე კაკიაშვილი-ჯაღიაშვილი, ნინო ლაბარტყავა, ხათუნა მარწყვიშვილი;

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია, რუსუდან სანაძე

ასისტენტ პროფესორი:

ზაქარია ქიჩიაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ფსიქოლოგიის მიმართულება :

ნანუკი ალიბეგაშვილი

გვანცა სალია

მარიამ ტაბატაძე

სალომე თოფურია

თამარ ბუაჩიძე

თამარ ქაადე

ანა კობაიძე

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 30 წევრი

განიხილეს:

1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის არჩევა

ფაკულტეტის მდივანმა, ზაქარია ქიტიაშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ დეკანის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის გამო პროფესორ თამარ გაგოშიძეს არ აქვს საბჭოს თავჯდომარეობის უფლება და სთხოვა დამსწრე საზოგადოებას, · დაესახელებინათ ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარის კანდიდატურა. ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ასოც. პროფესორ ლუიზა არუთინოვას მიერ საბჭოს თავჯდომარეობის კანდიდატად წარდგენილ იქნა განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ჭკუასელი. რადგანაც სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა, საბჭომ უყარა კენჭი პროფესორ ქეთევან ჭკუასელის კანდიდატურას და ერთხმად დაამტკიცა :

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის ცვლილებების დამტკიცება;

სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარემ, პროფესორმა ანასტასია ქიტიაშვილმა მოახსენა, რომ დოქტორანტების საუნივერსიტეტო დაფინანსების წესში, წინა საბჭოზე გაცემული რეკომენდაციების იურდიულად წესრიგში მოყვანის შემდეგ საჭიროა ცვლილებების დამტკიცება. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო

დაფინანსებისათვის კანდიდატების შერჩევის წესში ცვლილებები, რომელიც წევრებს წინასწარ ჰქონდათ დარიგებული და იცნობდნენ.

ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად გაიზიარა შემოთავაზებული ცვლილებები და ხმათა უმრავლესობით დაუჭირა მხარი მის განხორციელებას.

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის კომისიის წევრთა დამტკიცების საკითხი

პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, რომ ჩარიცხული დოქტორანტების დაფინანსების წესის შესაბამისად, საჭიროა სპეციალური საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის სპეციალური კომისიის შექმნა, რომელშიც პროპორციულად 2-2 კანდიდატი შევა ორივე დეპარტამენტიდან და მეხუთე წევრად იქნება საბჭოს წევრი სტუდენტი. ქ-ნმა ქეთევანმა განათლების მეცნიერებათა დეპარტამეტიდან კომისიის წევრად დაასახელა ასისტენტ პროფესორების ნინო ჩახუნაშვილისა და ეფემია ხარაძის კანდიდატურები, ფსიქოლოგიის დეპარტამეტის ხელმძღვანელმა, ლუიზა არუთინოვამ კი ამავე კომისიაში წევრობის კანდიდატად დაასახელა ასისტენტ პროფესორები ია აფთარაშვილი და ხათუნა მარწყვიშვილი. სტუდენტთა მხრიდან დასახელებულ იქნა გვანცა სალია. ფაკულტეტის საბჭომ ცალ-ცალკე განიხილა კანდიდატურები და ერთიანი წესით დაამტკიცა ხმათა უმრავლესობით:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

4. დეკანის არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა

პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა ფაკულტეტის საბჭოს გააცნო ფაკულტეტზე არსებული დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო წესი, დეკანობის კანდიდატის ბიოგრაფიული ცნობები და სთხოვა მათ, დებულებიდან გამომდინარე, წარედგინათ დეკანის არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობა. განათლების დეპარტამენტის მხრიდან კანდიდატად წარმოდგენილ იქნა რუსუდან სანაძე, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის მხრიდან - თეონა ლოდია. სტუდენტებმა კი კანდიდატად სალომე თოფურია

წარადგინეს. საბჭომ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანდიდატურებს და ერთიანი წესით უყარა კენჭი:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

ხმის დამთვლელი კომისიის და თავად თავჯდომარის მხრიდან ახსნილ იქნა პროცედურის მსვლელობა და შინაარსი საბჭოს წევრებისათვის.

5. დეკანის არჩევნების შედეგის დამტკიცება;

ხმის დამთვლელმა კომისიამ არჩევნების პროცესის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი, რომლის თანახმად, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ დააგროვა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, კერძოდ, კენჭისყრის შედეგებით - 30 მომხრე, წინააღმდეგი -0, თავი შეიკავა: -0. საბჭო ერთხმად მოიწონა არჩევნების შედეგები და, ასევე, ხმათა უმრავლესობით ერთხმად დაამტკიცა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესში შეტანილი ცვლილებები;
2. დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის სპეციალური კომისია 5 წევრის შემადგენლობით;
3. დამტკიცდეს დეკანის არჩევნების საბოლოო შედეგები. ხმის დამთვლელი კომისიის შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე დამტკიცდეს პროფესორ თამარ გაგოშიძის კანდიდატურა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი

ქეთევან ჭკუასელი

/ /

სხდომის მდივანი: ასისტენტ

პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი

/ /

2. 10. 2015